

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34  
2013 წლის 27 დეკემბერი

ქ. ბორჯომი

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინდა:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №27 დადგენილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (სსკმ ვებ.გვერდი 10.01.2013წ. 190020020.35.139.016073; ძალაში შესვლის თარიღი 01.01.2013წ.).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ქურდაძე

თავი I

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება         | 2012 წლის ფაქტი |          | 2013 წლის გეგმა                                       |                      | 2014 წლის გეგმა |   |                      |
|--------------------|-----------------|----------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
|                    | სულ             | სულ      | მათ შორის   |                      | სულ             | მათ შორის   |                      |
|                    |                 |          | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები        | 9.860.2         | 12.846.4 | 5.387.3   | 7.459.1              | 9.600.0         | 0.0   | 9.600.0              |
| გადასახადები       | 3.968.8         | 3.800.3  | 0.0   | 3.800.3              | 2.500.0         | 0.0   | 2.500.0              |
| გრანტები           | 2.562.2         | 5.567.3  | 5.387.3   | 180.0                | 190.0           | 0.0   | 190.0                |
| სხვა შემოსავლები   | 3.329.2         | 3.478.8  | 0.0   | 3.478.8              | 6.910.0         | 0.0   | 6.910.0              |
|                    |                 |          |   |                      |                 | 0.0   |                      |
| ხარჯები            | 6.931,4         | 8.144.7  | 508.8   | 7.635.9              | 7.825.4         | 0.0   | 7.825.4              |
| შრომის ანაზღაურება | 1.027.7         | 1.722.6  | 0.0   | 1.722.6              | 1.507.3         | 0.0   | 1.507.3              |



|                                 |              |          |         |          |         |     |         |
|---------------------------------|--------------|----------|---------|----------|---------|-----|---------|
| საქონელი და მომსახურება         | 3.176,1      | 2.899.5  | 446.3   | 2.453.2  | 2.521.0 | 0.0 | 2.521.0 |
| პროცენტი                        | 75.0         | 66.1     | 0.0     | 66.1     | 55.4    | 0.0 | 55.4    |
| სუბსიდიები                      | 1.279.4      | 1.892.7  | 40.0    | 1.852.7  | 2.372.1 | 0.0 | 2.372.1 |
| გრანტები                        | 0.0          | 0.0      | 0.0     | 0.0      | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| სოციალური უზრუნველყოფა          | 563.2        | 1.416.0  | 0.0     | 1.416    | 851.3   | 0.0 | 851.3   |
| სხვა ხარჯები                    | 809.7        | 147.7    | 22.5    | 125.2    | 518.4   | 0.0 | 518.4   |
|                                 |              |          |         |          |         | 0.0 |         |
| საოპერაციო სალდო                | 2.928,8      | 4.701.7  | 4.878.5 | -176.8   | 1.774.6 | 0.0 | 1.774.6 |
|                                 |              |          |         |          |         | 0.0 |         |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 8.417,7      | 6.392.7  | 5.080.9 | 1.311.8  | 1.679.4 | 0.0 | 1.679.4 |
| ზრდა                            | 8.56<br>3.7  | 6.512.7  | 5.080.9 | 1.431.8  | 1.779.4 | 0.0 | 1.779.4 |
| კლება                           | 145.9        | 120.0    | 0.0     | 120.0    | 100.0   | 0.0 | 100.0   |
|                                 |              |          |         |          |         | 0.0 |         |
| მთლიანი სალდო                   | -<br>5.488.9 | -1.691.0 | -202.4  | -1.488.6 | 95.2    | 0.0 | 95.2    |
|                                 |              |          |         |          |         | 0.0 |         |
| ფინანსური აქტივების ცვლილება    | -<br>5.564.5 | -1.780.7 | -202.4  | -1578.3  | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| კლება                           | 5.564.5      | 1.780.7  | 202.4   | 1.578.3  | 0.0     | 0.0 | 0.0     |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 5.564.5      | 1.780.7  | 202.4   | 1.578.3  | 0.0     | 0.0 | 0.0     |
|                                 |              |          |         |          |         |     |         |
| ვალდებულებების ცვლილება         | -75.6        | -89.7    | 0.0     | -89.7    | -95.2   | 0.0 | -95.2   |
| კლება                           | 75.6         | 89.7     | 0.0     | 89.7     |         | 0.0 |         |
| საშინაო                         | 75.6         | 89.7     | 0.0     | 89.7     | 95.2    | 0.0 | 95.2    |
|                                 |              |          |         |          |         | 0.0 |         |



|         |     |     |     |     |     |     |     |
|---------|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
|---------|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|

## მუხლი 2. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები 9.700.0 ათ, ლარით, გადასახდელები 9.700.0 ათ, ლარით და ნაშთის ცვლილება 0.0 ათ. ლარით თანდართული რედაქციით :

| დასახელება                                   | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |   |                      | 2014 წლის პროგნოზი |   |                      |
|--|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|  | სულ             | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|  |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები                                 | 10.006.1        | 12.966.376      | 5.387.3   | 7.579.1              | 9.700.0            | 0.0   | 9.700.0              |
| შემოსავლები                                  | 9.860.2         | 12.846.4        | 5.387.3   | 7.459.1              | 9.600.0            | 0.0   | 9.600.0              |
| არაფინანსური აქტივების კლება                 | 145.9           | 120.0           | 0.0   | 120.0                | 100.0              | 0.0   | 100.0                |
| ფინანსური აქტივების კლება                    | 0.0             | 0.0             | 0.0   | 0.0                  | 0.0                | 0.0   | 0.0                  |
| ვალდებულებების ზრდა                          | 0.0             | 0.0             | 0.0   | 0.0                  | 0.0                | 0.0   | 0.0                  |
| გადასახდელები                                | 15.570.7        | 14.747.1        | 5.589.8   | 9.157.4              | 9.700.0            | 0.0   | 9.700.0              |
| ხარჯები                                      | 6.931.3         | 8.144.7         | 508.8   | 7.635.9              | 7.825.4            | 0.0   | 7.825.4              |
| არაფინანსური აქტივების ზრდა                  | 8.563,6         | 6.512.7         | 5.080.9   | 1.431.8              | 1.779.4            | 0.0   | 1.779.4              |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0.0             | 0.0             | 0.0   | 0.0                  | 0.0                | 0.0   | 0.0                  |
| ვალდებულებები კლება                          | 75.6            | 89.7            | 0.0   | 89.7                 | 95.2               | 0.0   | 95.2                 |
| ნაშთის ცვლილება                              | -5564,5         | -1.780.7        | -202.4  | -1.578.3             | 0.0                | 0.0   | 0.0                  |

## მუხლი 3. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9.600.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |   |                      | 2014 წლის პროგნოზი |   |                      |
|------------|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|            | სულ             | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|            |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|            |                 |                 |   |                      |                    |   |                      |



|                  |         |          |         |         |         |     |         |
|------------------|---------|----------|---------|---------|---------|-----|---------|
| შემოსავლები      | 9.860.2 | 12.966.4 | 5.387.3 | 7.579.1 | 9.600.0 | 0.0 | 9.600.0 |
| გადასახადები     | 3.968.8 | 3.800.3  | 0.0     | 3.800.3 | 2.500.0 | 0.0 | 2.500.0 |
| გრანტები         | 2.562.2 | 5.567.3  | 5.387.3 | 180.0   | 190.0   | 0.0 | 190.0   |
| სხვა შემოსავლები | 3.329.2 | 3.478.8  | 0.0     | 3.478.8 | 6.910.0 | 0.0 | 6.910.0 |

#### მუხლი 4. ბორჯომის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2.500.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება                                    | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | 2014 წლის პროგნოზი |
|---|-----------------|-----------------|--------------------|
| გადასახადები                                  | 3.968.8         | 3.800.3         | 2.500.0            |
| ქონების გადასახადი                            | 2.612.6         | 2,270.0         | 2.500.0            |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1470,9          | 1,000.0         | 1.150.0            |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)      | 9.6             | 80.0            | 0.0                |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)         | 118.1           | 10.0            | 30.0               |
| სასოფლო-სამეურთეო დანიშნულების მიწაზე         | 107.3           | 30.0            | 150.0              |
| არასასფლო-სამეურნეო მიწაზე                    | 906.7           | 1,150.0         | 1.170.0            |
| სხვა გადასახადები ქონებაზე                    | 0.0             | 0.0             | 0.0                |
| სხვა გადასახადები                             | 1.356.3         | 1.530.3         | 0.0                |

#### მუხლი 5. ბორჯომის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 190.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება  | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | 2014 წლის პროგნოზი |
|---|-----------------|-----------------|--------------------|
| გრანტები  | 2.562.2         | 5.567.3         | 190.0              |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი                          | 2,562,2         | 5.567.3         | 0.0                |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები                               | 160.7           | 180.0           | 190.0              |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 160.7           | 180.0           | 190.0              |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები                                   | 2.401.5         | 5.387.3         | 0.0                |



|   |         |         |     |
|---|---------|---------|-----|
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 1.141.3 | 3.880.2 | 0.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა                       | 439.2   | 419.9   | 0.0 |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი                       | 200.0   | 0.0     | 0.0 |
| მთავრობის სარეზერვო ფონდიდან                      | 16.0    |         | 0.0 |
| ბორჯომის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია           | 605.0   | 1.087.2 | 0.0 |

**მუხლი 6. ბორჯომის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 6.910.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება  | 2012 წელი | 2013 წელი | 2014 წელი |
|---|-----------|-----------|-----------|
| სხვა შემოსავლები  | 3.329.2   | 3.478.8   | 6.910.0   |
| შემოსავლები საკუთრებიდან  | 2.563.9   | 2.515.0   | 6.230.0   |
| პროცენტები  | 501.0     | 292.9     | 200.0     |
| დივიდენდები   | 0.9       | 0.0       | 0.0       |
| რენტა   | 2.062.0   | 2.223.0   | 6.030.0   |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის                                 | 2.050.1   | 2.198.0   | 6.000.0   |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 12.0      | 25.0      | 30.0      |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა   |           |           |           |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია  | 399.5     | 440.0     | 380.0     |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები                                     | 381.9     | 425.0     | 320.0     |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი                                    |           |           |           |
| სანებართვო მოსაკრებელი  | 80.8      | 75.0      | 30.0      |
| სახელმწიფო ბაჟი   |           |           |           |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი                                    | 0.1       | 0.0       | 0.0       |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი                           | 0.4       | 0.0       | 0.0       |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი   | 120.0     | 190.0     | 120.0     |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის                  | 180.6     | 160.0     | 170.0     |



|   |       |       |       |
|---|-------|-------|-------|
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 17.7  | 15.0  | 60.0  |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან                | 17.7  | 15.0  | 60.0  |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები                  | 276.8 | 320.0 | 250.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები    | 89.0  | 147.9 | 50.0  |

**მუხლი 7. ბორჯომის ბიუჯეტის ხარჯები**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7.825.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |   |                      | 2014 წლის პროგნოზი |   |                      |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|                         | სულ             | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|                         |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები                 | 6931,4          | 8.144.7         | 508.8   | 7.635.9              | 7.825.4            | 0.0   | 7.825.4              |
| შრომის ანაზღაურება      | 1.027.7         | 1.722.6         | 0.0   | 1.722.6              | 1.507.3            | 0.0   | 1.507.3              |
| საქონელი და მომსახურება | 3.176,1         | 2.899.5         | 446.3   | 2.453.2              | 2.521.0            | 0.0   | 2.521.0              |
| პროცენტი                | 75.0            | 66.1            | 0.0   | 66.1                 | 55.4               | 0.0   | 55.4                 |
| სუბსიდიები              | 1.279.4         | 1.892.7         | 40.0  | 1.852.7              | 2.372.1            | 0.0   | 2.372.1              |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 563.6           | 1.416.0         | 0.0   | 1.416.0              | 851.3              | 0.0   | 851.3                |
| სხვა ხარჯები            | 809.7           | 147.7           | 22.5  | 125.2                | 518.4              | 0.0   | 518.4                |

**მუხლი 8. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1.679.4 ლარის ოდენობით, მათ შორის:
2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1.779.4 ლარის ოდენობით.
3. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება 100.0 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | 2014 წლის პროგნოზი |
|------------|-----------------|-----------------|--------------------|
|------------|-----------------|-----------------|--------------------|



|                              |       |       |       |
|------------------------------|-------|-------|-------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 145.9 | 120.0 | 100.0 |
| ძირითადი აქტივები            | 57.5  | 30.0  | 70.0  |
| არაწარმოებული აქტივები       | 88.4  | 90.0  | 30.0  |
| მიწა                         | 88.4  | 90.0  | 30.0  |

**მუხლი 9. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 1.779.4 ლარით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| დასახელება  | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |   |                      | 2014 წლის პროგნოზი |   |                      |
|---|-----------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|   | სულ             | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|   |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 49.2            | 43.0            | 0.0   | 43.0                 | 217.9              | 0.0   | 217.9                |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება           | 8.3             | 30.0            | 0.0   | 30.0                 | 1.5                | 0.0   | 1.5                  |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია  | 5.150           | 5.150.5         | 3.844.0   | 1.306.5              | 1.260.0            | 0.0   | 1.260.0              |
| განათლება   | 0.0             | 23.5            | 0.0   | 23.5                 | 300.0              | 0.0   | 300.0                |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი      | 2.888.1         | 1.265.8         | 1.236.9   | 28.8                 | 0.0                | 0.0   | 0.0                  |
| <b>სულ</b>  | <b>8.563.6</b>  | <b>6.512.7</b>  | <b>5.080.9</b>  | <b>1.431.8</b>       | <b>1.779.4</b>     | <b>0.0</b>  | <b>1.779.4</b>       |

**მუხლი 10. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 95.2 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -95.2 ლარის



ოდენობით.

### მუხლი 13. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100.0 ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 190.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 80.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 105.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

### მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების 1.051.3 ათასი ლარის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

### ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

#### მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

##### თავდაცვა და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. ბორჯომში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები. პერსონალისათვის სათანადო წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. არსებული რესურსების ფარგლებში კომუნალური პირობების გაუმჯობესება და პერსონალის სიცოცხლის დაზღვევა. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზება.

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

##### 1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

**პროგრამის აღწერა:** ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება.

##### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.
- სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების ლოკალიზება და მათი შედეგების ლიკვიდაცია. ზარალის მინიმიზაცია.

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გამომახების რაოდენობა;
- დროულად ლოკალიზებული და ლიკვიდირებული შემთხვევების რაოდენობა;
- მიყენებული ზარალის რაოდენობა. მოსახლეობის უსაფრთხო გარემო;
- მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების 50%-ით გაუმჯობესება.

##### 1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

**პროგრამის აღწერა:** შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება



## მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება.

## შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაწვეულთა რაოდენობა.

### 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

**პრიორიტეტის აღწერა:** მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, სასამელო წყლის სისტემების და სახურავების რეაბილიტაცია, სოფლებში სასამელო წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

#### 2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების, ხიდების, ქუჩის ფეხით სავალი ნაწილების რეაბილიტაცია, ცენტრალური და შიგასაქალაქო გზების მოწესრიგება.

##### 2.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი, მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიგა საქალაქო გზების რეაბილიტაცია, განხორციელდება ქ. ბორჯომში ვაშლოვანის, რუსთაველის, მესხეთის, ერეკლეს, აღმაშენებლის ქუჩების, სოფლების ცემისა და ყვიბისის, დაბა წაღვერის გზების რეაბილიტაცია.

##### 2.1.2 ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება ბორჯომში ცენტრალური რუსთაველის, 9 აპრილის, მესხეთის, კოსტავას ქუჩების, ფილებით მოპირკეთება, რაც განაპირობებს ქალაქის იერსახის სრულყოფას.

##### 2.1.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების აღდგენა, კერძოდ განხორციელდება სოფელ ყვიბისში ორი ხიდის, მტრედის ხიდის, სილამაზის ხიდის, ლიკანისა და ახალი უბნის დამაკავშირებელი ხიდის, სოფელ მიტარბში ხიდების რეაბილიტაცია.

##### 2.1.5 ქუჩების გაწმენდა თოვლისა და ყინულის საფარისაგან (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და გაწმენდა. ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

### 2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

**პროგრამის აღწერა :** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, საკადასტრო რუკების მომზადება, მუნიციპალური და რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და ამხანაგობების თანადაფინანსება.

## მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- განათებული მუნიციპალიტეტი;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე და მიწაზე ზედამხედველობის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის აქტიური ჩართულობა თვითმართველობის ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

## შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან და მაწანწალა ცხოველებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი;
- ქუჩების განათების გაზრდილი მაჩვენებელი;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების და მიწის რეგისტრაციის 100%-იანი მაჩვენებელი



### 2.2.1 ბორჯომის შემოსასვლელში სტელის აღდგენა და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების მოწესრიგება. კერძოდ: ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჭავჭავაძის, ნიკოლაძის, გამსახუდიას, რაზმაძის, ხანძთელის, გურამიშვილის, ორბელიანის, ინაურის ქუჩებზე, სოფლებში: ყვიზისში, ტბაზე, ახალდაბაში საყრდენი კედლების რეაბილიტაცია.

### 2.2.2 მრავალსართულიანი ბინების სახურავების ლიფტების და ფასადების და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების რეაბილიტაცია. (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი მრავალსართულიანი კორპუსია რომლებიც საჭიროებენ სახურავების, ლიფტების და ფასადების და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების რეაბილიტაციას. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, კერძოდ: რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქ.ბორჯომში აღმაშენებლის, რუსთაველის, გამარჯვების, ჭავჭავაძის, თორის, მესხეთის, გამსახუდიას, დუმბაძის ქუჩებზე საცხოვრებელი სახლების სახურავებს. თორის, ერეკლეს, მესხეთის, რუსთაველის ქუჩებზე საცხოვრებელ სახლებში ლიფტებს, რუსთაველის, ხანძთელის, თამარ მეფის ქუჩებზე საცხოვრებელ სახლების ფასადებს.

### 2.2.3 ნარჩენების შეგროვება, გატანა კეთილმოწყობის ობიექტების დასუფთავება, ნაგავზიდი სპეც. მანქანის და სანაგვე

#### ურნების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დავა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქუჩის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ექსპლოატაციაში შევა ახალი ნაგავსაყრელი სრული დატვირთვით, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

### 2.2.4 წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამის კოდი

03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, მოსახლეობის 24 საათიანი, სუფთა წყლით უზრუნველყოფა, ასევე საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება კანალიზაციის მოწყობა თორის ქუჩაზე.

### 2.2.5. გარე განათების მოვლა პატრონობა, გარე განათების ბოძების მონტაჟი, დეკორატიული განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, კერძოდ განხორციელდება ქ.ბორჯომში შიგა ქუჩების, სოფლების: დაბის და მზეთამზის და დაბა ახალდაბის გარე განათების მოწყობა.

### 2.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

#### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;
- მოვლილი, გამწვანებული სკვერები და გაზონები;
- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;
- სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა

### 2.3.1 სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სანიაღვრე და სარწყავი არხების ექსპლოატაცია, გაწმენდა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება ქალაქში საჭიროების შემთხვევაში ახალი სანიაღვრეების მიერთება ცენტრალურ სისტემებთან.

### 2.3.2 ხეების გადაბეღვა, შეწამლა ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა და მათი კეთილმოწყობა,



მოწესრიგდება გამწვანების ზოლები. განხორციელდება სკვერების კეთილმოწყობა რუსთაველის ქუჩაზე.

#### 2.4. ვეტერინალური მომსახურების პროგრამა ( პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და სამოვრებზე ვეტერინალური მომსახურება. ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული საშუალებებით ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა. სამოვრებზე მიეწოდებიან ვეტერინარი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველებისათვის საშიში გადამდები სნეულებების კერების ლოკალიზებას.

#### 2.5. გამწვანება (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

#### 2.7 სამშენებლო სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 07)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

#### 2.8. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სოფელ ციხისჯვარში ტერიტორიული ორგანოს შენობის რეაბილიტაცია.

#### 2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

v მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

##### v მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათლების ხელშეწყობა.
- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით.

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღები;
- სწავლების დონის მაღალი მაჩვენებელი.

#### 3.1 აიპპ “ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი”(პროგრამული კოდი 04 01)

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 550 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. დაბა ბაკურიანში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, სადაც ირიცხება 90 ბავშვი, ასევე ყველა ხარჯი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. მომავალ წელს განხორციელდება ბაღების რეაბილიტაცია, კერძოდ სოფელ რველში, აღმაშენებლის ქუჩაზე და ლიკანში.

##### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით.

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა.

#### 3.2.საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეეთა ტრანსპორტირების ხარჯები.

#### 4.კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)



ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პრობლემების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

#### 4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

**პროგრამის აღწერა :** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით.

##### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა.

#### 4.1.1 ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანების“ 364-მდე სპორტსმენის დაფინანსებას, გაერთიანება მოიცავს სპორტის 15 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პრობლემების შექმნას.

#### 4.1.2. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები კალათბურთში, ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის, მხიარული სტარტები და მინი-ფეხბურთი მოსწავლეთა შორის, რესპუბლიკური ტურნირები ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება წახალისება მიღწეული შედეგებისათვის. 2014 წელს განხორციელდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

- კალათბურთის ტურნირი,
- ვაჟთა ტურნირი ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის,
- ვაჟთა ტურნირი კალათბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის,
- ფრენბურთის ტურნირი გოგონებს შორის,
- მხიარული სტარტები საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს შორის,
- მინი-ფეხბურთი,
- რევაზ ლაშხის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,
- ჭადრაკის ტურნირი,
- ქართული ჭიდაობა (სკოლების პირველობა)

განხორციელდება ბორჯომის საფეხბურთო კლუბის “ ბორჯომი-2013“-ის დაფინანსება. საფეხბურთო გუნდის შექმნამ ხელი შეუწყო ქალაქში სპორტის, კერძოდ ფეხბურთის პოპულარიზაციას.

#### 4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

##### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობაში ქართული კულტურისა და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება; მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა.

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები:



- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული კულტურული ობიექტების რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

#### 4.2.1 სამუსიკო სკოლა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 230-მდე მოსწავლე. ასევე ფინანსდება მუსიკალურ სკოლასთან არსებული ანსამბლი „ბორჯომი - 2012“. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება და აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს

#### 4.2.2 საბიბლიოთეკო გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

#### 4.2.3 კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, თეატრის აღორძინება, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

#### 4.2.4 თოჯინების თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ “ბორჯომის თოჯინების თეატრი” რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. სსიპ თოჯინების თეატრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების, ბავშვებში ზნეობრივი და სულიერი სამყაროს გამდიდრება და პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცება. 2014 წელს თეატრი გეგმავს ოთხი ახალი სპექტაკლის დადგმას:

- „სამყაროს დაბადება“- საბავშვო ბიბლიის მოტივებზე.
- „ადამიანი ობობა“-კოპროდუქცია.
- „მძინარე მზეთუნახავი“-დისნეის პროექტი.
- „წიქარა“- ქართული ხალხური ზღაპარი.

#### 4.2.5 ეროვნული და ადგილობრივი დღესასწაულები(პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა:

1. ბაკურიანობა.
2. ბორჯომელი მხატვრის ომაზი ჩხეიძის შემოქმედებითი საგამო და ნამუშევრების გამოფენა.
3. ჩვენი მხარე.
4. ბორჯომელი მხატვრის თანგული ორთოიძის ნამუშევრების გამოფენა.
5. დედის დღე.
6. ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“
7. შეხვედრა ხელოვანთან.
8. ლიტერატურული კვირეული.
9. ეროვნული მედიაპროექტი „ეტალონი“
10. ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება.
11. ფოლკლორის ფესტივალი.



12. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი.
13. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1 ივნისი.
14. მწერალ გიორგი ზედგინიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.
15. პროექტი „ჰარმონია“.
16. ტოლერანტობა და თანასწორობა. ახალგაზრდული ფორუმი.
17. ბორჯომ-ქალაქობა.
18. გაიცანი შენი სამშობლო.
19. ხალისიანი შემოდგომა.
20. ინტელექტუალური თამაშები ყმაწვილთათვის.
21. გიორგი ათონელის სახელობის დღესასწაულის დამკვიდრება.
22. ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დღეები ბორჯომში.
23. წინა სამობაო ღონისძიება.

#### 4.2.6 ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკის მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამით განხორციელდება ა .(ა) ი.პ. „ბორჯომის ცენტრალური პარკის“ დაფინანსება ბორჯომის ცენტრალური პარკის მოვლა-პატრონობა და იერსახის შენარჩუნება. განხორციელდება ბორჯომის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიის, კერძოდ 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია.

#### 4.3. ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

#### 4.4 საინფორმაციო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესასა და ტელევიზიაში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

### 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

